583
963/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 14 (211) 20 მაისი 1963 წელი

## შინაარსი

### სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

#### განყოფილება პირველი

226. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნიდერლანდებში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ი. ი. ტუგარინოვის დანიშვნის შესახებ.

227. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში საპასპორტო სისტემის წესების დარღვევისათვის დაჯარიმების წესის შესახებ.

228. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. მ. ტიხომიროვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ — სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

229. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრად ამხ. ლ. ა. კოსტანდოვის დანიშვნის შესახებ.

#### განყოფილება მეორე

230. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გეოლოგიური სამსახურის მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

231. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დ. ბ. კაბალევსკისა და ტ. ნ. ხრენიკოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

232. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საპატიო ნიშნის“ ორდენით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის ხორბლის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლ. ნ. ლიუბარსკის დაჯილდოების შესახებ.

233. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საპატიო ნიშნის“ ორდენით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გენეტიკის ინსტიტუტის ექსპერიმენტული სამეცნიერო-საკვლევო ბაზის „გორკი ლენინსკიეს“ დირექტორის ამხ. თ. ვ. კალისტრატოვის დაჯილდოების შესახებ.

234. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით მწერალ გ. გ. გულიამოვის (გაფურ გულიამის) დაჯილდოების შესახებ.

235. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „მამაცობისა-თვის“ რაზმელების ა. ლ. გალბაის და პ. გ. ქეიკოვის დაჯილდოების შესახებ.

ბიბლიოთეკა

236. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელი ვარსკვლავის ორდენით საინჟინერო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორ ნ. ნ. დუბოვიცკის დაჯილდოების შესახებ.

237. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. რომანიუკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

238. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით შაქრის ჭარხლის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის დირექტორის, ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრის, ამხ. ი. ფ. ბუზანოვის დაჯილდოების შესახებ.

### განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

## საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

### განყოფილება პირველი

239. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმ პირების პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც იყიდიან პურსა და პურეულის სხვა პროდუქტებს პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად.

### განყოფილება მეორე

240. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ი. კიზირიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

241. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. დ. ბათიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

242. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 226 ნიდერლანდებში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ი. ი. ტუგარინოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ივანე ივანეს ძე ტუგარინოვი ნიდერლანდებში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 6 მაისი.
№ 1301-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 227 მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში საპასპორტო სისტემის წესების დარღვევისათვის დაჯარიმების წესის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულების 13 მუხლს დაემატოს შემდეგი: მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში საპასპორტო სისტემის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების უფლება მიენიჭოთ მილიციის ორგანოებს, ისე რომ არ მიმართონ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ ადმინისტრციულ კომისიებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 8 მაისი.
№ 1318-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 228 ამხ. ს. მ. ტიხომიროვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ — სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. სერგი მიხეილის ძე ტიხომიროვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ — სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 9 მაისი.
№ 1320-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 229 სსრ კავშირის მინისტრად ამხ. ლ. ა. კოსტანდოვის დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ქიმიური და ნავთობგადამმუშავებელი მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ლეონიდ არკადის ძე კოსტანდოვი სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 11 მაისი.
№ 1338-VI.

# განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 230 გეოლოგიური სამსახურის მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების აღმოჩენისა და დაზვერვის საქმეში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის მიენიჭოთ სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეთ ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ური“:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ჰარაშ იბრაჰიმ ოღლი **ამიროვს** — აზერბაიჯანის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გაერთიანება „აზნეფტის“ ტრესტ „შირვანნეფტის“ ბურღვის ოსტატს;

2. ტაჯიდან **იმამალიევს** — ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის სამმართველოს ადრასმანის გეოლოგიურ-საზვერი პარტიის სამთო გვირაბგამყვანთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს;

3. სტეფანე პავლეს ძე **კრიკოტინს** — ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის სამმართველოს ჰაიდარკენის გეოლოგიურ-საზვერი პარტიის ბურღვის ოსტატს;

4. აშირ **კურბანგელდიევს** — თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის სამმართველოს კასპიისპირეთის გეოლოგიურ-საზვერი ექსპედიციის ბურღვის უფროს ოსტატს;

5. აკაშ **მუხამბაევს** — ყაზახეთის სსრ გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს დასავლეთ ყაზახეთის გეოლოგიური სამმართველოს კულსარის ბურღვის კონტორის მბურღავს;

6. დიმიტრი ვასილის ძე **ნალივკინს** — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ლენინგრადის სამთო ინსტიტუტის კათედრის გამგეს;

7. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე **ნეფედოვს** — ჩრდილოეთ კავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭოს ტირნიაუზის ვოლფრამ-მოლიბდენის კომბინატის მთავარ გეოლოგს;

8. კონსტანტინე ფილიმონის ძე **ნოვაკს** — უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის მთავარი სამმართველოს ტრესტ „არტემგეოლოგიის“ კრასნოარმეისკოეს გეოლოგიურ-საზვერი პარტიის ბურღვის უფროს ოსტატს;

9. ვადიმ ვიქტორის ძე **ონიხიმოვსკის** — რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის მთავარი სამმართველოს შორეულ აღმოსავლეთის გეოლოგიური სამმართველოს კომსომოლსკის გეოლოგიური ექსპედიციის მთავარ გეოლოგს;

10. ანატოლი ალექსის ძე **პიტადეს** — უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის მთავარი სამმართველოს კრივოი როგის გეოლოგიურ-საზვერი ტრესტის მთავარ ინჟინერს;

11. იგორ ევგენის ძე **როჟდესტვენსკის** — რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის მთავარი სამმართველოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის გეოლოგიური სამმართველოს ანუისკის რაიონის გეოლოგიურ-საზვერი სამმართველოს უფროსს;

12. ხაირული **თემიროვს** — უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის მთავარი სამმართველოს კასანის ნავთობდაზვერვის ექსპედიციის ბურღვის ოსტატს;

13. სიმონ ნიკიტას ძე **ურუსოვს** — რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის მთავარი სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართველოს ტიუმენის გეოლოგიური სამმართველოს შაიმსკის ნავთობდაზვერვის ექსპედიციის ბურღვის ოსტატს;

14. ვასილ ივანეს ძე **შტიფანოვს** — ყაზახეთის სსრ გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის სამინისტროს ჯეზყაზგანის გეოლოგიურ-საზვერო ექსპედიციის უფროსს;

15. რაულ-იური გიორგის ძე **ერვიეს** — რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიისა და წიაღისეულთა დაცვის მთავარი სამმართველოს ტიუმენის გეოლოგიური სამმართველოს უფროსს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 29 აპრილი.

№ 1288-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 231 დ. ბ. კაბალევსკისა და ტ. ნ. ხრენიკოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოთ **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება:

1. დიმიტრი ბორისის ძე **კაბალევსკის** — კომპოზიტორს;
2. ტიხონ ნიკოლოზის ძე **ხრენიკოვს** — კომპოზიტორს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 4 მაისი.

№ 1297-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 232 „საპატიო ნიშნის" ორდენით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის ხორბლის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლ. ნ. ლიუბარსკის დაჯილდოების შესახებ

ხორბლის თვისებების გამორკვევის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის ხორბლის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ლაბორატორიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორ ლევ ნიკოლოზის ძე **ლიუბარსკი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. **ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 4 მაისი.

№ 1298-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 233 „საპატიო ნიშნის“ ორდენით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გენეტიკის ინსტიტუტის ექსპერიმენტული სამეცნიერო-საკვლევო ბაზის „გორკი ლენინსკიეს“ დირექტორის ამხ. თ. ვ. კალისტრატოვის დაჯილდოების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა დასანერგავად მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გენეტიკის ინსტიტუტის ექსპერიმენტული სამეცნიერო-საკვლევო ბაზის „გორკი ლენინსკიეს“ დირექტორი ამხ. თევდორე ვასილის ძე **კალისტრატოვი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. **ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 4 მაისი.

№ 1300-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 234 შრომის წითელი დროშის ორდენით მწერალ გ. გ. გულიამოვის (გაფურ გულიამის) დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით მწერალი გაფურ გულიამის ძე **გულიამოვი** (გაფურ გულიამი) დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. **ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 9 მაისი.

№ 1319-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 235 მედლით „მამაცობისათვის" რაზმელების ა. ლ. გალბაის და პ. გ. ჟეიკოვის დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და შეიარაღებულ დამნაშავეთა დაკავების დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის დაჯილდოვდნენ რაზმელები:

მედლით „მამაცობისათვის"

1. ანატოლი ლაზარეს ძე გალბაი;
2. პავლე გრიგოლის ძე ჟეიკოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 10 მაისი.
№ 1332-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 236 წითელი ვარსკვლავის ორდენით საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორ ნ. ნ. დუბოვიცკის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **დუბოვიცკი** დაჯილდოვდეს **წითელი** ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 11 მაისი.
№ 1335-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 237 ამხ. ა. ი. რომანიუკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სიმინდის მაღალი მოსავლის მიღებასა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებაში მიღწეული თვალსაჩინო შრომითი წარმატებებისათვის ხერსონის ოლქის სკადოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვე ჟიტია" კომბაინერს, მექანიზებული რგოლის მერგოლურს ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე **რომანიუკს**

საპარლამენტო ბიბლიოთეკა

მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური"**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. **ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 11 მაისი.
№ 1336-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 238 ლენინის ორდენით შაქრის ჭარხლის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორის, ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრის ამხ. ი. ფ. ბუზანოვის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სელექციისა და მეთესლეობის განვითარებაში დამსახურებისათვის, შაქრის ჭარხლის მოყვანის მაღალეფექტური ხერხების დამუშავებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით შაქრის ჭარხლის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორი, ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრი, ამხ. ივანე ფეოქტისტეს ძე **ბუზანოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. **ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 11 მაისი.
№ 1337-VI.

## განყოფილება მესამე

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

გეოლოგიურ-საზვერ სამუშაოთა განვითარებასა და სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების აღმოჩენასა და დაზვერვაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 29 აპრილის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა გეოლოგიური სამსახურის მუშები, ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკები, სულ 1.476 კაცი.

**ლენინის** ორდენით დაჯილდოებულია — 150 კაცი, **შრომის წითელი დროშის** ორდენით — 367, **„საპატიო ნიშნის"** ორდენით — 454, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის"** — 298 და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის"** — 207 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამათგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სს რესპუბლიკაში დააჯილდოვა:

### ლენინის ორდენით

1. გიორგი მიხეილის ძე **ლოლობერიძე** — საქართველოს ქვანახშირისა და მადნეულის საბადოთა დაზვერვის ტრესტის მთავარი ინჟინერი;
2. ბონდო ვლადიმერის ძე **კვახაძე** — ბორჯომის ჰიდროგეოლოგიური პარტიის საბურღ სამუშაოთა მწარმოებელი.

### შრომის წითელი დროშის ორდენით

1. სოლომონ ონისიმეს ძე **ბოჭორიშვილი** — ფოლადაურის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის მთავარი ინჟინერი;
2. გრიგოლ ერმილეს ძე **გუჯაბიძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს კომპლექსური თემატური პარტიის უფროსი;
3. ოთარ ალექსანდრეს ძე **სეფაშვილი** — საქართველოს ნავთობის ტრესტის გეოლოგიურ-საძიებო კონტორის მთავარი გეოლოგი;
4. გიორგი იოსების ძე **ხვედელიძე** — ჭიათურის გეოლოგიურ-საზვერი პარტიის მნგრეველი;
5. არჩილ ლუკას ძე **ცაგარელი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

### „საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. მიხეილ პავლეს ძე **ჯორუგოვი** — ფოლადაურის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის ბურღვის უფროსი ოსტატი;
2. კირილე ევგენის ძე **ივანოვი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს მთავარი მექანიკოსი;
3. მიხეილ ნიკოლოზის ძე **მჭედლიშვილი** — ახალციხის გეოლოგიურ-საზვერი პარტიის უფროსი;
4. გრიგოლ ფედოტის ძე **სალაყაია** — მენჯის ჰიდროგეოლოგიური პარტიის ბურღვის უფროსი ოსტატი;
5. მედეა დიმიტრის ასული **უზნაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
6. შალვა რაჟდენის ძე **ჩუბინიძე** — თბილისის ჰიდროგეოლოგიური პარტიის უფროსი.

### მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. ვლადიმერ დიმიტრის ძე **კიტია** — კოლხიდის ბურღვის კონტორის ჰბურღავი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. არშაკ ნიკოლოზის ძე **მხითაროვი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს ცენტრალური მექანიკური სახელოსნოს ზეინკალი;

3. ვახტანგ პარმენის ძე **ტალახაძე** — ბორჯომის ჰიდროგეოლოგიური პარტიის ბურღვის ოსტატი;

4. პეტრე სტეფანეს ძე **ჩელდიევი** — კვაისის გეოლოგიურ-საზვერი პარტიის ბურღვის უფროსი ოსტატი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

1. დავით მარტინის ძე **ბეჟანოვი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კონტორის მუშა;

2. ლევან სერგის ძე **ყანჩაველი** — კოლხიდის ჰიდროგეოლოგიური პარტიის ბურღვის უფროსი ოსტატი;

3. ალექსი მიხეილის ძე **რეხვიაშვილი** — მადნეულის გეოლოგიურ-საზვერი პარტიის ბურღვის ოსტატი.

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 239 იმ პირების პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც იყიდიან პურსა და პურეულის სხვა პროდუქტებს პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს ბრძოლა პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად სახელმწიფო ფონდებიდან პურისა და პურეულის სხვა პროდუქტების ხარჯვის წინააღმდეგ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ პირები, რომლებიც იყიდიან სახელმწიფო და კოოპერაციულ მაღაზიებში გამომცხვარ პურს, ფქვილს, ბურღულსა და პურეულის სხვა პროდუქტებს პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად დაჯარიმდებიან 50 მანეთამდე.

ჯარიმას დაადებს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული კომისია, აგრეთვე სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. პირები, რომლებიც იყიდიან სახელმწიფო და კოოპერაციულ მაღაზიებში გამომცხვარ პურს, ფქვილს, ბურღულსა და პურეულის სხვა პროდუქტებს პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად, დაჯარიმების შემდეგ ამგვარივე ქმედობის ჩადენისათვის დაისჯებიან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი იმავე ვადით.

3. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს მუხლი 173[1] შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 173[1]. **პურისა და პურეულის სხვა პროდუქტების ყიდვა პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად**

სახელმწიფო და კოოპერაციულ მაღაზიებში გამომცხვარი პურის, ფქვილის, ბურღულისა და პურეულის სხვა პროდუქტების ყიდვა პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად, ჩადენილი ამგვარივე ქმედობისათვის ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების შემდეგ —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი იმავე ვადით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1963 წლის 16 მაისი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 240 ამხ. ბ. ი. კიზირიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცდაათი და პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სწავლული მდივანი ამხ. ბესარიონ იოსების ძე კიზირია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1963 წლის 15 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 241 ამხ. ი. დ. ბათიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისა და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის ოცდათხუთმეტი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სასოფლო-სამეურ-

ნეო ინსტიტუტის ენტომოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი ირაკლი დიმიტრის ძე **ბათიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი. 1963 წლის 15 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 242 საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ალექსანდრე ელეფთერის ძე **აბულაძე** — მაიორი;
2. ქიამინ ხოტხოტის ძე **აგრბა** — პოდპოლკოვნიკი;
3. დანიელ ივანეს ძე **ანტონოვი** — პოდპოლკოვნიკი;
4. არტიმონ ბესარიონის ძე **ბარაბაძე** — პოდპოლკოვნიკი;
5. თამარ არჩილის ასული **გორგაძე** — საბჭოთა არმიის მოსამსახურე;
6. მიხეილ ბუხუტის ძე **კინწურაშვილი** — პოდპოლკოვნიკი;
7. გიორგი ალექსის ძე **კოხრეიძე** — მაიორი;
8. სერგი მინას ძე **მაისაშვილი** — პოდპოლკოვნიკი;
9. მიხეილ მათეს ძე **მიქაბერიძე** — მაიორი;
10. ვასილ პეტრეს ძე **პეტროვი** — მაიორი;
11. არამ ნაჰაპეტის ძე **საფაროვი** — მაიორი;
12. კარპ ზოსიმეს ძე **ტოვმაჩუკი** — პოდპოლკოვნიკი;
13. ვიქტორ ირაკლის ძე **ღოღელიანი** — პოდპოლკოვნიკი;
14. ლევან მიხეილის ძე **ჭელიძე** — მაიორი;
15. ვახტანგ ვიქტორის ძე **ჯიბლაძე** — პოდპოლკოვნიკი;
16. ანდრია ანდრიას ძე **ჯორჯიკია** — პოდპოლკოვნიკი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი. 1963 წლის 15 მაისი.